სპირიტუალისტური ინტერვენციის მნიშვნელობა სოციალურ მუშაობაში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

ავტორი: მაგდა მოდებაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქ-ნ შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მაგდა მოდებაძე

2022 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია, სპირიტუალისტური ინტერვენციის მნიშვნელობა სოციალურ მუშაობაში. კვლევა მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებთან, სპირიტუალისტურ ინტერვენციაზე იმ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, რომელიც ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში დაგროვდა. მეორეს მხრივ, სოციალური მუშაკების განწყობა და დამოკიდებულების შესწავლას; თუ მიაჩნიათ საჭიროდ, სპირიტუალისტური ინტერვენციის განხორციელება, სოციალური მუშაობის სფეროში. ამასთანავე, საინტერესო იყო გამოგვეკვლია, პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების სპირიტუალისტური მედეგობა და გაგვეგო, თუ ახდენს ეს ფაქტორი გავლენას, მათ პროფესიულ საქმიანობაზე.

კვლევა დაეყრდნო, კომბინირებულ მეთოდს, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 23 სოციალური მუშაკი, საბაკალავრო/სამაგისტრო კურისის სტუდენტები და ამასთანავე, ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან. რესპონდენტების პასუხებიდან ნათლად სჩანს, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია სპირიტუალისტურ ინტერვენციაზე და ზოგადად, მსგავსი საკითხებისადმი თავს არაკომპეტენტურად მიიჩნევენ. ასევე, გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ ბენეფიციარებს, ხშირად აქვთ სურვილი, სოციალურ მუშაკთან ისაუბრონ თავიანთ რწმენებზე. თუმცა, გარკვეული მიზეზების, ეთიკური საკითხებისა და არასაკმარისი კომპეტენციის გამო, პრაქტიკოსები არ საუბრობენ ბენეფიციარებთან სპირიტუალისტურ საკითხებზე. ასეთი დამოკიდებულებებიდან გამომიდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირად, სოციალური მუშაკები, თავს არიდებენ ბენეფიციართან სპირიტუალისტურ საჭიროებებზე საუბარს, რაც ინდივიდის ჰოლისტურ შეფასებას და მისი გაძლიერების საკითხს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

მიუხედავად, მსგავსი პრაქტიკული გამოცდილებისა, სოციალური მუშაკები, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ზოგადად, ადამიანის სპირიტუალისტურ და რელიგიურ რწმენებს და გამოთქვამენ მზაობას, სოციალურ მუშაობაში მსგავსი საკითხების უკეთ გაცნობისა და შესწავლისთვის.

საკვანძო სიტყვები: სპირიტუალიზმი, რელიგია, ტრანსპერსონალიზმი

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო, ჩემს სამეცნიერო თემისა და სამაგისტრო კურსის ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს, რომლის რჩევებმაც დიდი წვლილი შეიტანა, ნაშრომის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში. მასთან მუშაობის პროცესმა მომცა შესაძლებლობა, სოციალური მუშაობის სფეროში ახალი ცოდნის მიღებისა და პროფესიული გამოცდილების.

ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა იმ რესპოდენტებს, რომლებიც დათანხმდნენ კვლევაში მონაწილეობას. თითოეული მათგანისგან, პროფესიული და პირადი გამოცდილების გაზიარება, კვლევისთვის ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო.

და ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა, სოციალური მუშაობის სამაგისტრო კურსის სტუდენტებს, რომელთა კოლეგიალურობა და ენთუზიაზმი, მაძლევდა მოტივაციას, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.